



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ნინო კოპალიანი

თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემის თავისებურებები

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი, 0141, საქართველო 2024

სამეცნიერო ნაშრომი შესრულებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

მაია კაპანაძე

ისტორიის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ოფიციალური რეცენზენტები:

ემზარ მაკარაძე

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

დავით კუხალაშვილი

ისტორიის დოქტორი, პროფესიული უსაფრთხოების დოქტორი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

ოფიციალური ექსპერტები:

ქეთევან შოშიაშვილი

ისტორიის დოქტორი, კსუ ასოცირებული პროფესორი

ქეთი ჯიჯეიშვილი

პოლიტიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2024 წლის 13 ნოემბერს 15:00 საათზე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0141, თბილისი, ჩარგლის ქუჩა N 73, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, 305-ე აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ქეთევან შოშიაშვილი.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა

თურქეთის პოლიტიკური სისტემა მთლიანად ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნების პოლიტიკური სისტემისაგან საკმაოდ განსხვავებულია. ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული სეკულარულ და ისლამურ პოლიტიკურ პარტიებს ხშირად უხდებოდათ ერთმანეთთან კონკურენციაში შესვლა. ეს არის საკმაოდ საინტერესო პროცესი, რაც აისახება თურქეთის რესპუბლიკის არა მარტო საშინაო, არამედ საგარეო პოლიტიკაზეც. ისლამური იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური პარტიები თურქეთის ხელისუფლებაში განსაკუთრებით გააქტიურდნენ 21-ე საუკუნის დასაწყისში. რაც შეეხება თურქეთის პოლიტიკურ ასპარეზზე მათ გააქტიურებას, ის გაცილებით ადრე, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. ზომიერი ისლამის მომხლავრების დამადასტურებელი ფაქტორია ის, რომ უკვე 22 წელია, რაც ლაიცისტურ თურქეთს ზომიერი ისლამური სამართლიანობისა და განვითარების პარტია მართავს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ საბოლოოდ უარი თქვა სეკულარიზმზე.

თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემა იმით არის გამორჩეული, რომ ერთად თანაარსებობენ ზომიერი ისლამი და სეკულარიზმი. თურქეთისათვის მათი თანაარსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როგორც რეგიონში, ისე რეგიონს გარეთ. ზომიერი ისლამის მეშვეობით თურქეთი ცდილობს მუსლიმურ ქვეყნებში ერთგვარი ლიდერის როლი ითამაშოს, სეკულარიზმი კი მას სჭირდება ქვეყნის გარეთ თავისი იმიჯის განსამტკიცებლად, რომ დასავლეთის მოპოვებული მხარდაჭერა კიდევ უფრო განიმტკიცოს და პრეტენზია განაცხადოს ევროკავშირის სრულუფლებიან წევრობაზე. ასე რომ, თურქეთში ზომიერი ისლამი და სეკულარიზმი

საკმაოდ „ჰარმონიულად“ თანაარსებობენ და ერთმანეთს ხელს არ უშლიან. ორივე მათგანს თავისი დატვირთვა აქვს ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში.

კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზნებია:

თანამედროვე თურქეთის სახელმწიფო პოლიტიკური სისტემის თავისებურებების კვლევა, მისი მეცნიერული შესწავლა და სათანადო დასკვნების გაკეთება.

კვლევის ამოცანებია:

- სახელმწიფოს იდეისა და რეალობის შესწავლა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში თურქეთის სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ისტორიული ეტაპების საფუძველზე.
- თურქეთის პოლიტიკური სისტემის თავისებურებების არსის კვლევა.
- სეკულარიზმის განმტკიცების მიზეზების მეცნიერული შესწავლა თურქეთის კონსტიტუციებში.
- პოლიტიკური პარტიების თავისებურებებისა და სამხედრო გადატრიალებების მიზეზების კვლევა თურქეთში.
- თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემის ცვლილებების შესწავლა ზომიერი ისლამის პირობებში.

საკვლევი კითხვები

- რამდენად მოერგო მუსლიმური თურქეთი სეკულარიზმს?

- რამ განაპირობა ისლამური პარტიების გააქტიურება თანამედროვე თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში?
- რა გამოწვევებს ქმნის ისლამური და სეკულარული პოლიტიკური ძალების წი ნააღმდეგობა თურქეთის პოლიტიკაში?
- რამ განაპირობა პოლიტიკური სისტემის ცვლილება თურქეთში?

ჰიპოთეზა

საკვლევი თემის ჰიპოთეზა თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ თურქეთის პოლიტიკას ერთდროულად განსაზღვრავს როგორც სეკულარიზმი, ისე ზომიერი ისლამი. ხშირად სეკულარებსა და ზომიერ ისლამს შორის არის გარკვეული პრობლემები, თუმცა რეალობაა, რომ ორივე მათგანი თითქმის თანაბრად არის წარმოდგენილი თურქეთის პოლიტიკაში. როგორც სეკულარიზმს, ისე ზომიერ ისლამს მნიშვნელოვანი დატვირთვა გააჩნია თანამედროვე თურქეთის პოლიტიკურ სისტემაში, რითაც ეს ქვეყანა გამოირჩევა ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სხვა ქვეყნების პოლიტიკური სისტემებისაგან.

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის საგანი - თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემისათვის დამახასიათებელი თავისებურებები.

კვლევის ობიექტი - ზომიერი ისლამიზმი თურქეთში და სეკულარიზმი.

ნაშრომის თეორიული ჩარჩო

ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდოლოგია:

1. **მაქს ვებერის მოდერნიზაცია**¹ – ამ ტერმინით აღნიშნავენ ტრადიციული, აგრარული საზოგადოების გარდაქმნას სეკულარულ საზოგადოებად. მოდერნიზაცია არის

¹Вagner П, Макс Вебер и модерн XXI века, <https://cyberleninka.ru/article/n/maks-veber-i-modern-xxi-veka/viewer>

უწყვეტი პროცესი, რომელიც არ გულისხმობს მხოლოდ ერთი კონკრეტული ქვეყნის ტრანსფორმაციას თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, ის უნდა მოიცავდეს მრავალ ქვეყანას და მასში ჩართული უნდა იყოს მოსახლეობის ფართო ფენები. მოდერნიზაციის პროცესი, უფრო მეტად, დასავლეთიდან იწყებს შემოსვლასა და გავრცელებას. იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ, ერთი მხრივ, როგორც იმ კულტურული და სოციალური მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც დასავლური ცივილიზაციისთვის იყო ფასეული და მისაღები. მეორე მხრივ კი, ეს არის იმ კულტურული და სოციალური ნიშნების ერთად თავმოყრა, რომელიც საზოგადოების შემდგომმა გარდაუვალმა განვითარებამ არადასავლური ცივილიზაციისა და კულტურის დამახასიათებელ ნიშნად აქცია. მოდერნიზაციის პროცესის ამგვარი ახსნა შესაძლებელია დაგვეხმაროს დასავლური საზოგადოების თანამედროვე თუ ისტორიულ განვითარებაზე მსჯელობისას, ხოლო მოდერნიზაციის მეორე გაგება მნიშვნელოვან დახმარებას გაგვიწევს იმ პროცესების აღსაწერად, რომლებსაც ადგილი აქვს თანამედროვე მსოფლიოში.

გ. ალმონდის პოლიტიკური კულტურის კონცეფცია და პოლიტიკური სოციალიზაცია.² პოლიტიკური კულტურის თეორიის შესწავლა ამერიკელმა პოლიტოლოგმა გ. ალმონდმა განახორციელა ს. ვერბასთან ერთად. ალმონდმა თავისი კონცეფცია ჩამოაყალიბა სტატიაში „შედარებითი პოლიტიკური სისტემები“. ისინი განასხვავებენ პოლიტიკური კულტურის სამ ძირითად ტიპს: პატრიარქალურ, ანუ ტრადიციულ, მორჩილ და მონაწილეობით კულტურებს. პოლიტიკური კულტურის პატრიარქალური ტიპი ძირითადად ტრადიციულ საზოგადოებაში გვხვდება და ახასიათებს შეზღუდული ცოდნა პოლიტიკის შესახებ, მოქალაქეები არ ელიან რაიმე სახის ცვლილებებს პოლიტიკაში და ნაკლებ ინტერესს გამოხატავენ გლობალური პოლიტიკური კულტურისა და ეროვნული ერთიანობის მიმართ. ტრადიციულ

² Концепция политической культуры Г Алмонда и политическая социализация, <https://studfile.net/preview/8643699/page:3/>
ასევე, პოლიტიკური კულტურა და სოციალიზაცია, <file:///C:/Users/h/Desktop/politikuri-kultura-da-socializacia.pdf>

საზოგადოებაში მოქმედი პირები ერთდროულად რამდენიმე ფუნქციას ასრულებენ: აქ რელიგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფუნქციები ერთმანეთისაგან გამიჯნული არ არის. მან იცის ის ფაქტი, რომ ყველა სოციალური ფენა ან ჯგუფი ვერ მიიღებს მონაწილეობას სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ ზოგიერთი მათგანი მთლიანად გარიყულია პოლიტიკური პროცესისგან (მაგალითად, ყმები ფეოდალურ სახელმწიფოში, ქალები ზოგიერთ მუსულმანურ ქვეყანაში და ა.შ.).

პოლიტიკური კულტურის მორჩილი ტიპი კარგად იცნობს არსებულ პოლიტიკურ სისტემას და მაღალი პოლიტიკური შეგნებით ხასიათდება, მაგრამ მაინც ახასიათებს პასიური პოლიტიკური ქცევა. იგი, მიუხედავად იმისა, რომ ამ სისტემისაგან იღებს დახმარებას და სხვადასხვა სახის მომსახურებას, თავის თავს არსებული პოლიტიკური სისტემის მიღმა ხედავს, არ მოსწონს არსებული გადასახადები და სისტემის მიერ განხორციელებული დიქტატი, თუმცა ცდილობს მხარი დაუჭიროს იმ პოლიტიკურ სისტემას, რომელიც ფუნქციონირებს. არ მოითხოვს სახელმწიფოსგან რაიმე სარგებელს, უბრალოდ ელის პოლიტიკური სისტემისგან საზოგადოების აქტუალური პრობლემების გადაჭრას.

მონაწილეობითი პოლიტიკური კულტურა ხასიათდება პოლიტიკური აქტივობის მაღალი დონით. ამ კულტურის წარმომადგენელი ნამდვილი აქტიური მოქალაქეა, ის ცდილობს თავისი ჩართულობით შეცვალოს ან უკეთესი გახადოს პოლიტიკური სისტემა: მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, თამამად დააფიქსიროს თავისი აზრი დემონსტრაციებზე, წარადგინოს პეტიციები და ა.შ. აქტიური მოქალაქე ოსტატურად გამოხატავს თავის ინტერესებს და ინტერესთა ჯგუფებისა და პარტიების მეშვეობით გავლენას ახდენს პოლიტიკის შემუშავების რთულ პროცესზე. ამავდროულად ის გამოხატავს პოლიტიკური სისტემის მიმართ ერთგულებას, კანონმორჩილებასა და მიღებული გადაწყვეტილებების პატივისცემას.

ადამიანის ღირებულებათა და შეხედულებათა ჩამოყალიბების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი პროცესია პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესი. აღმონდის

აზრით, პოლიტიკური სოციალიზაცია არის ინდივიდის მიერ პოლიტიკური ცოდნის, პოლიტიკური კულტურის ნორმებისა და ღირებულებების ათვისების პროცესი, რაც ხელს უწყობს მოცემულ პოლიტიკურ სისტემასთან ადაპტაციისთვის საჭირო თვისებების ჩამოყალიბებას და მასში გარკვეული ფუნქციებისა და როლების მორგებასა და შესრულებას.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური კულტურა განუყოფლად არის დაკავშირებული და ურთიერთქმედებს პოლიტიკურ ინსტიტუტებთან- პოლიტიკურ სისტემასთან, სახელმწიფოსთან, პოლიტიკურ პარტიებსა და სოციალურ-პოლიტიკურ გაერთიანებებთან, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს მის შემდგომ განვითარებასა და გაუმჯობესებაზე.

რ. მიხელსის „ოლიგარქიის რკინის კანონის“³ მიხედვით, როგორი დემოკრატიულიც არ უნდა იყოს ორგანიზაციის საქმიანობა, მისი გაფართოება აუცილებლად იწვევს მართვასთან დაკავშირებულ სირთულეებს, რომელთა მოგვარების მიზნით და ასევე გარკვეული სტაბილურობის მისაღწევად თავად მასებში წარმოიქმნება ადამიანთა ახალი ორგანიზებული უმცირესობა, რომელიც თავის თავზე იღებს მმართველი კლასის ფუნქციას, თავის ხელში ახდენს რესურსებისა და ძალაუფლების მონოპოლიზებას და ყალიბდება ოლიგარქიად-სწორედ ეს არის, მისი აზრით, სუფთა ელიტიზმი. რობერტ მიხელსის ოლიგარქიის რკინის კანონის მთავარი იდეა ისაა, რომ ყველა ორგანიზაცია, თუნდაც ყველაზე თანასწორუფლებიანი და დემოკრატიული, სინამდვილეში ოლიგარქიულია და საბოლოო ჯამში ექვემდებარება ლიდერთა მცირე ჯგუფს, რადგან „საზოგადოება ვერ იარსებებს მმართველი ან პოლიტიკური კლასის გარეშე“. ამრიგად, დემოკრატია თავიდანვე აწყდება „გადაუქრელ წინააღმდეგობებს“ - ჯერ ერთი, ის „უცხოა ადამიანთა ბუნებისათვის“ და მეორეც, ის აუცილებლად „შეიცავს ოლიგარქიულ ბირთვის“, თუმცა გერმანელი

³ Железный закон олигархических тенденций по Роберту Михельсу, <https://vikent.ru/enc/1970/>

სოციოლოგი დასკვნის სახით ამბობს, რომ დემოკრატია გააჩნია შიდა კონტროლის მექანიზმებიც, როგორცაა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი.

კვლევის მეთოდები

თემის დამუშავების დროს გამოვიყენეთ კვლევის თვისებრივი მეთოდები:

ისტორიულ-შედარებითი ანალიზი - მეთოდის მეშვეობით მოვახდინეთ ისტორიული დოკუმენტების ანალიზი, ფაქტების ინტერპრეტაცია-შედარება, განსხვავებულ სივრცესა და დროში მომხდარ მოვლენებს შორის განსხვავებისა და მსგავსების დადგენა, შეხედულებების არგუმენტირებულად დასაბუთება და დასკვნების ჩამოყალიბება.

ინტერდისციპლინარული მეთოდი - თვისებრივი მეთოდი ინტერდისციპლინარულია და მას ფართოდ იყენებენ სოციალური მეცნიერებების სხვადასხვა დარგში, მათ შორის: ფსიქოლოგიაში, პოლიტიკის მეცნიერებებში, სოციოლოგიაში, ეთნოგრაფიაში, ევროპისმცოდნეობაში, ისტორიაში და სხვ. უმთავრესი ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ ამ მეთოდით შესაძლებელია რთული და ნაკლებად გავრცელებული ფენომენების, ასევე პრობლემური სიტუაციის სიღრმისეული და ყოველმხრივი შესწავლა. გარდა ამისა, ხშირად თვისებრივ მეთოდებზე დამყარებული კვლევა შესაძლებელს ხდის, საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე კვლევითი ტექნიკის ერთდროულად გამოყენებას. ამან საშუალება მოგვცა სხვადასხვა კუთხით შეგვესწავლა ჩვენთვის საინტერესო ფენომენი. ამიტომ ეს მეთოდი დაგვეხმარა, რომ საკითხი მრავალმხრივ შეგვესწავლა და გაგვეაზრებინა.

კონტენტ-ანალიზი - კონტენტ-ანალიზის გამოყენებით შესაძლებელია, მოვახდინოთ წერილობითი მასალის შინაარსის დეტალურად შესწავლა, საფუძლიანი ანალიზი და თანმიმდევრული დასაბუთება. ჩემს ნაშრომში კონტენტ-ანალიზი გამოვიყენეთ, როგორც საშუალება სხვადასხვა ტიპის დოკუმენტებიდან, სამეცნიერო

ჟურნალებიდან და სხვადასხვა ტიპის წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებისა და სიღრმისეული ანალიზის გასაკეთებლად.

შემთხვევის ანალიზი (caze study) - კვლევის ამ მეთოდის გამოყენებით მოვახდინეთ საკითხის ირგვლივ არსებული თეორიული მასალის განხილვა, სხვადასხვა წყაროების მეცნიერული შესწავლა, ჩვენთვის საინტერესო მოვლენის იდენტიფიცირება, ანალიზი და სათანადო დასკვნების გამოტანა.

სიღრმისეული ინტერვიუ - ინფორმაციის შეგროვების ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული საშუალება არის ინტერვიუ. მან შესაძლებლობა მოგვცა მოგვესმინა რესპოდენტების მოსაზრებები შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით, გაგვეგო ჩვენთვის საინტერესო მოვლენებისადმი მათი დამოკიდებულება და შეფასება. ამიტომ სიღრმისეული ინტერვიუ დაგვეხმარა კვლევის თემასთან დაკავშირებით ახალი ინფორმაციის მოპოვებაში.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

ნაშრომში კომპლექსურად არის განხილული თანამედროვე თურქეთის სახელმწიფო-პოლიტიკური სისტემის თავისებურებასთან დაკავშირებული რიგი საკითხები:

- განისაზღვრა პოლიტიკური სისტემის არსი და მისი თეორიული ბაზისი
- წარმოჩინდა თურქეთის პოლიტიკური სისტემის ფორმირების რთული პროცესი და განვითარების ეტაპები
- გამოიკვეთა ის, თუ რამდენად მოერგო მუსლიმურ თურქეთს სეკულარიზმი, ყურადღება გამახვილდა ამ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, რაც აისახა თანამედროვე თურქეთის მმართველობით სისტემაზე.
- დადგინდა, ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პროცესში რა თავისებურებებით გამოირჩევა თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემა.

- შეფასდა თანამედროვე თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ზომიერი ისლამის როლი, რომელმაც გავლენა მოახდინა რესპუბლიკის მმართველობის სისტემაზე, რასაც თან ერთვის პერიოდულად კონსტიტუციური ცვლილებებიც.
- კვლევის შედეგად გამოვლინდა და ჩვენ მიერ შეფასდა პოლიტიკური სისტემის ცვლილება ზომიერი ისლამური სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობის პერიოდში
- შეფასდა, თუ რამდენად მოახერხა სეკულარიზმმა გაემლო თანამედროვე გამოწვევებისა და ზომიერი ისლამური იდეოლოგიის მქონე პარტიების ქვეყნის პოლიტიკურ ასპარეზზე გააქტიურებისათვის.

რეალობა ის არის, რომ თურქეთში ზომიერი ისლამის პირობებშიც სეკულარიზმს თავისი შეუცვლელი ადგილი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ერდოღანს ხშირად უწოდებენ „ახალ სულთანს“, მას უარი არ უთქვამს სეკულარიზმზე. მისთვის ორივე, როგორც ზომიერი ისლამი, ისე სეკულარიზმი, ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ნაშრომი არის თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთ-ერთი პირველი მცდელობა, სადაც მეცნიერულად არის შესწავლილი თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემის თავისებურებები.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა არის ის, რომ მასში შევეცადეთ და შეძლებისდაგვარად დეტალურად განვიხილეთ ის პრობლემები, რომლებიც თანამედროვე თურქეთში ისლამური პარტიების მომძლავრებამ შეუქმნა სახელმწიფო წყობილებას და აქცენტი გავაკეთეთ იმ თავისებურებებზე, რომლებიც ამ პროცესს ახლავს თან.

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ შესრულებული სადოქტორო ნაშრომი, ამ სფეროთი დაინტერესებული მკვლევრების გარდა, საინტერესო იქნება სტუდენტებისა და მეცნიერთა იმ ნაწილისათვის, რომლებიც იკვლევენ ისლამიზმით გამოწვეულ

პრობლემებს კონკრეტული სახელმწიფოებისათვის, ასევე ვფიქრობთ, რომ ის გამოადგება ქვეყნის სპეცსამსახურებსაც.

შევქმენით იმ ხარისხის სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემის შესწავლის მხრივ თავის ადგილს დაიკავებს ქართულ სამეცნიერო წრეებში.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ლიტერატურის ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია. საკვლევ თემაზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ როგორც პირველადი, ასევე მეორეული წყაროები, გავეცანით სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომებს – როგორც ქართულ, ისე უცხოურ, მათ შორის თურქულენოვან შრომებს. ყურადღება გავამახვილეთ დოკუმენტებსა და ისტორიულ წყაროებზე, დავამუშავეთ ასევე დარგის სპეციალისტთა მიერ გამოქვეყნებული სტატიები და პუბლიკაციები. პირველადი და მეორეული წყაროები დაგვეხმარა საკითხის უკეთ გაანალიზებასა და შეფასებაში. აქ მიმოვიხილავთ მათ მცირე ნაწილს.

ბატიაშვილი ზ. „ცვლილებები თურქეთის მმართველობით სისტემაში“⁴

თურქეთის მმართველობის სისტემაში მომხდარი ცვლილებები ჩვენი საკვლევით თემის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. ავტორი საუბრობს 2018 წლის 24 ივნისს თურქეთში გამართულ რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შესახებ და მას თურქეთის რესპუბლიკის მმართველობით სისტემაში დღემდე განხორციელებულ ყველაზე ძირეულ რეფორმად მიიჩნევს. იგი დაწვრილებით განიხილავს ამ ცვლილების საჭიროების გამომწვევ მიზეზებს და საუბრობს იმ 18 მუხლის კორექტირების შესახებ, რომელიც განხორციელდა 2017 წლის 16 აპრილის რეფერენდუმით საგარეო ურთიერთობის, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში და გამოაქვს სათანადო დასკვნები.

⁴ ბატიაშვილი ზ, ცვლილებები თურქეთის მმართველობის სისტემაში. „საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი“, თბილისი, 2018

სვანიძე მ. „თურქეთის ისტორია 1299-2000“⁵

ამ წიგნში საკმაოდ ვრცლადაა განხილული თურქეთის ისტორია ოსმალეთის იმპერიის დაარსებიდან XXI საუკუნის დამდეგამდე. ნაშრომი 583 გვერდისაგან შედგება და მასში მეცნიერულად არის შესწავლილი ჩვენთვის საინტერესო საკითხები: XX საუკუნის 20-იანი წლების ქემალისტური რევოლუცია თურქეთში და სახალხო-რესპუბლიკური პარტიის დაარსება, რომელიც თურქეთის პირველი რესპუბლიკის მმართველი პარტია გახდა, ერთპარტიული მმართველობიდან მრავალპარტიულ სისტემაზე გადასვლა და სამხედრო გადატრიალებები თურქეთის ისტორიაში, მოცემულია ღრმა და საფუძვლიანი ანალიზი რესპუბლიკური თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ისლამური პარტიების გააქტიურებისა და სეკულარიზმის დამცველი სამხედრო ელიტების საქმიანობის შესახებ, აღწერილია მუსტაფა ქემალის მიერ გატარებული რეფორმები თურქეთის რესპუბლიკის ევროპეიზაციისა და მოდერნიზაციის გზაზე.

მაკარაძე ე. თურქეთის საშინაო პოლიტიკა 2000 – 2015 წლებში⁶

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას საჭიროდ ჩავთვალე გავცნობოდი პროფესორ ემზარ მაკარაძის დასახელებულ მონოგრაფიას, რადგანაც იგი რესპუბლიკური თურქეთის პოლიტიკური ცხოვრების მკვლევარი გახლავთ. 21-ე საუკუნის დასაწყისი სეკულარული თურქეთის ისტორიაში მნიშვნელოვანი პერიოდია, რადგან სწორედ ამ პერიოდიდან მოყოლებული ლაიცისტურ ქვეყანას მართავს ზომიერი ისლამური სამართლიანობისა და განვითარების პარტია და ხშირია დაპირისპირებები საერო და რელიგიური პროგრამების მქონე პოლიტიკურ ძალებს შორის. ავტორი ყურადღებას ამახვილებს თურქეთის საშინაო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე, წარმოაჩენს რეჟიმ თაიფ ერდოღანის როგორც ლიდერის და როგორც პოლიტიკური მოღვაწის როლს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ასევე საინტერესოდ საუბრობს

⁵ სვანიძე მ. თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007

⁶ მაკარაძე ე. თურქეთის საშინაო პოლიტიკა 2000 – 2015 წლებში, გამომცემლობა „ჭიჭიჭი“, თბილისი, 2016

აქტიურობაზე სეკულარიზმის დამცველი სამხედრო ელიტისა, რომელიც ცდილობდა მთავრობა მუდმივი კონტროლის ქვეშ ჰყოლოდა და ამით ქემალისტური იდეოლოგიის ერთგულ მცველად გვევლინებოდა. სწორედ ამ მიზეზით ქვეყანაში არაერთხელ მოხდა სამხედრო გადატრიალებები თუ გადატრიალებები „მემორანდუმით“ (1960 წ; 1971 წ; 1980 წ; 1997 წ; 2016 წ).

მონოგრაფიაში ავტორი დიდ ადგილს უთმობს თურქეთის საშინაო პოლიტიკის განხილვას 2015 წელს. ის აღნიშნავს, რომ საპარლამენტო არჩევნებში უმრავლესობის მოპოვებით მმართველმა პარტიამ მოახერხა სახელისუფლებო აპარატი თავისი გავლენისათვის დაექვემდებარებინა. მართლაც, მან მოხერხებულად გამოიყენა „ერგენეკონის“ საქმე სამხედროებისა და ძველი პოლიტიკური ელიტის განეიტრალების მიზნით, თავადაც უპირისპირდებოდა ყველას, ვინც ეწინააღმდეგებოდა მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილ პოლიტიკურ კურსს. მთვრობის მიერ მოსახლეობის დაყოფა „ჩვენთანებად“ და „სხვისთანებად“ დღემდე გრძელდება.

მაკარაძე ე, „თურქეთის ისტორია 1918-2018 წლებში“⁷

ნაშრომი შედგება თერთმეტი თავისაგან და ავტორს მოცემული აქვს ქემალიზმისა და მისი უმთავრესი პრინციპების ანალიზი, განხილულია ის გამოწვევები, რომლებიც თან ახლდა თურქეთის რესპუბლიკის დემოკრატიზაციის პროცესს. ასევე დიდი ადგილი აქვს დათმობილი სახელმწიფოსა და გენერალიტეტის ურთიერთობების ანალიზს, იმ სამხედრო გადატრიალებებს თუ გადატრიალების მცდელობებს, რომლებიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში არსებული რეალობის შეცვლასა და ისლამური იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური პარტიების მზარდი რეიტინგის დათრგუნვას. თურქეთის არმიას თავად კონსტიტუცია აძლევდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური ჩარევის უფლებას და ისიც წლების განმავლობაში მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებასა და

⁷ მაკარაძე ე, თურქეთის ისტორია 1918-2018 წლები. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი, 2019

მეთოდს იყენებდა შეენარჩენებინა სეკულარული თურქეთის მიერ გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან არჩეული ევროპეიზაციის კურსი.

მონოგრაფიაში ასევე განხილულია, თუ რა გავლენა მოახდინა 2009 წელს ქვეყანაში არსებულმა მძაფრმა ეკონომიკურმა კრიზისმა პოლიტიკური პროცესების განვითარებაზე, განსაკუთრებით კი არჩევნების საბოლოო შედეგებზე, ყურადღება გამახვილებულია 2010 წლის 12 სექტემბრის რეფერენდუმით განხორციელებულ საკონსტიტუციო ცვლილებებზე მოსამართლეთა და პროკურორთა უმაღლეს საბჭოში, ასევე სამხედრო სასამართლოებში და სხვ. ავტორის მოსაზრებები და შეხედულებები ჩვენთვის საინტერესო და მისაღებია, ამიტომ შევეცადეთ ღრმად გავცნობოდი იმ საკითხებს, რომლებიც უშუალოდ ეხება თურქეთის ისტორიის ჩვენთვის საინტერესო პერიოდს.

ავტორი დიდ ადგილს უთმობს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების ანალიზს და ყურადღებას ამახვილებს თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ფეთქულა გიულენისა და მისი ორგანიზაციის როლსა და მნიშვნელობაზე. მკვლევარი ასევე მოგვითხრობს სამართლიანობისა და განვითარების პარტიის დაარსების ისტორიას და აღწერს იმ რეფორმების მნიშვნელობას, რომლებიც ხორციელდება რეჟიმ თაიპ ერდოღანის მიერ ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში თანამედროვე ეტაპზე.

მანჩხაშვილი მ, „თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990-2008 წლებში“⁸

ეს გახლავთ თურქულიდან თარგმნილი სქელტანიანი სახელმძღვანელო, რომელიც თურქეთის ექსპრემიერის აჰმედ დავუთოღლუს შრომებით იწყება. სახელმძღვანელოში ვრცლად და საინტერესოდ არის წარმოდგენილი სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქცია და როლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მიმოხილული არის თურქეთის პოლიტიკური სისტემა, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა, ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი, 1980 წლის სამხედრო გადატრიალება და

⁸მანჩხაშვილი მ, თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990-2008 წლებში, თბილისი, 2013.

შემდგომში შექმნილი კოალიციური მთავრობების პოლიტიკური საქმიანობა. წიგნში მოცემულია არა მხოლოდ თურქეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზი, არამედ სხვადასხვა მიმართულებით საზოგადოების გარდაქმნასთან დაკავშირებულ საკითხთა შესაწავლა. ამიტომაც აჰმედ დავუთოლლუს ქართულ ენაზე თარგმნილმა ამ ერთადერთმა ნაშრომმა დიდი დახმარება გაგვიწია საკვლევ თემაზე მუშაობის პროცესში.

ხოზრევანიძე ლ. მონოგრაფია „თურქეთის საგარეო პოლიტიკის თანამედროვე ასპექტები“⁹

წიგნში განხილულია თურქეთის რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის თანამედროვე ასპექტები. ავტორი საუბრობს თურქეთის გეოპოლიტიკური მდებარეობის შესახებ, ახასიათებს ამ ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას და გვიზიარებს თავის შეხედულებებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა გავლენას ახდენს ისლამი თანამედროვე თურქეთის პოლიტიკაზე. ჩვენც ვეთანხმებით ავტორის მოსაზრებებს იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლების მიერ გადადგმული თამამი ნაბიჯები ამავდროულად იწვევს რესპუბლიკის როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკის შინაარსის რადიკალურ ცვლილებას. ფაქტობრივად ჩვენ თვალწინ იბადება ახალი თურქეთი ახალი ამბიციებითა და მიზნებით, რომელიც ცდილობს მუსლიმურ ქვეყნებში ერთგვარი ლიდერის როლი მოიგოს და ამ მიზნით ხელს უწყობს სუნიტური ისლამის გაძლიერებას ქვეყანაში, აარსებს რელიგიურ სკოლა-პანსიონებს, აძლიერებს რელიგიურ საქმეთა სამმართველოს და სხვ. მართალია, ისლამის პოპულარიზაცია აფერხებს თურქეთის ევროკავშირთან დაახლოებას, თუმცა, მეორე მხრივ, ამ ქვეყნის ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა მას ევროკავშირისთვისაც მიმზიდველ პარტნიორ ქვეყნად აქცევს. თურქეთის საშინაო პოლიტიკურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ეს და სხვა აქტუალური საკითხები ავტორს

⁹ ხოზრევანიძე ლ, თურქეთის საგარეო პოლიტიკის თანამედროვე ასპექტები, გამომცემლობა „დანი“, თბილისი. 2018

საინტერესოდ აქვს განხილული. ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასახელებულმა ნაშრომმა დიდი დახმარება გაგვიწია სადისერტაციო კვლევის პროცესში.

ჭიღარია გ, თურქეთის გეოპოლიტიკა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან¹⁰

აღნიშნულ ნაშრომში ავტორს ყურადღება გამახვილებული აქვს, თუ რა ადგილი უჭირავს ისლამის ფაქტორს თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკაში. იგი საუბრობს XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქვეყანაში ისლამური იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური პარტიების მომძლავრების შესახებ და მათი რეიტინგის ზრდის ხელშემწყობ მიზეზად უმუშევრობას, მწვავე სოციალ-ეკონომიკურ კრიზისს, ინფლაციასა და ქვეყანაში არსებულ კორუფციას ასახელებს.

სანიკიძე გ, ალასანია გ, გელოვანი ნ, „ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან: XIX- XX საუკუნეების დასაწყისი“¹¹

საკვლევ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ქართველი აღმოსავლეთმცოდნეების ერთობლივი სამეცნიერო ნაშრომი, რომელშიც გაშუქებულია თურქეთის პოლიტიკური ვითარება რესპუბლიკად გამოცხადებიდან 2011 წლამდე.

Halle W, Ozbudun E., Islamism, Democracy and Liberalism in Turkey, The Gase of the AKP¹²

წიგნში მოცემულია თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის მმართველი “სამართლიანობისა და განვითარების პარტიის” მოღვაწეობის ყოვლისმომცველი ანალიზი, ის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც განხორციელდა ქვეყნის კულტურულ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში 2002 წლიდან. ნაშრომში საუბარია ისლამისა და დემოკრატიის ურთიერთობის, თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ, ავტორი საინტერესოდ აღწერს თანამედროვე თურქეთის

¹⁰ ჭიღარია გ, თურქეთის გეოპოლიტიკა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, თბილისი. 2014

¹¹ სანიკიძე გ. ალასანია გ. გელოვანი ნ. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან: XIXს-XXIს-ის დასაწყისი, თბილისი, 2011.

¹² Halle W, Ozbudun E, Islamism, Democracy and Liberation in Turkey, The Gase of the AKP, 2010

პოლიტიკურ ცხოვრებაში სეკულარიზმის, ლიბერალიზმისა და ზომიერი ისლამური პარტიის თანაარსებობას.

Cagaptay S., „The New Sultan: Erdogan and the Crisis of Modern Turkey“¹³

ავტორი საინტერესოდ საუბრობს იმ მზარდი დამაბულობის შესახებ, რომელიც არსებობს შეერთებულ შტატებსა და თურქეთის რესპუბლიკას, ახლო აღმოსავლეთსა და ევროპას, ისლამსა და ლიბერალიზმს შორის, აღწერს იმ სამხედრო გადაწყვეტილებებსა და დიპლომატიურ ნაბიჯებს, რომლებმაც ხელი შეუწვევს თურქეთის მძლავრ რეგიონულ ძალად ჩამოყალიბებას. ყურადღებას ამახვილებს ტრამპსა და ერდოღანს შორის დაპირისპირების მიზეზებზე და სხვ.

Phillips D., „An Uncertain Ally: Turkey under Erdogan’s Dictatorship“¹⁴

ნაშრომში ავტორი საუბრობს იმ კორუფციულ სკანდალებსა და ფულის გათეთრების სქემებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა თურქეთის რესპუბლიკაში ერდოღანის მმართველობის წლებში და დაკავშირებული იყო მის ახლობლებსა და ოჯახის წევრებთან. ასევე აღწერს 2016 წლის ივლისის არშემდგარი გადატრიალების დეტალებს და ყურადღებას ამახვილებს იმ მიზეზებზე, რომლებმაც გააღრმავა მოქმედი პრეზიდენტის დაპირისპირება ფეთქულა გიულენთან. ნაშრომში ვრცლად არის შესწავლილი თურქეთში არსებული მდგომარეობა აღნიშნულ ეტაპზე და წარმოჩენილია ის თავისებურებები, რომლებიც ახასიათებს თანამედროვე თურქეთის სახელმწიფო პოლიტიკურ სისტემას.

Bechev D., „Turkey Under Erdogan: How a Country Turned from Democracy and the West“¹⁵

დიმიტარ ბეჩევი საინტერესოდ საუბრობს რეჯეფ თაიფ ერდოღანის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თურქეთის რადიკალური ტრანსფორმაციის შესახებ. ის აღწერს, თუ როგორ მოხდა, რომ დასავლური პოლიტიკის გამტარებელმა

¹³ Cagaptay S, The New Sultan: Erdogan and the Crisis of Modern Turkey, 2017

¹⁴ Phillips D, An Uncertain Ally: Turkey under Erdogan’s Dictatorship, 2017

¹⁵ Bechev D, Turkey Under Erdogan: How a Country Turned from Democracy and the West, 2022

ქვეყანამ წამოიწყო მილიტარისტული საგარეო პოლიტიკა, ჩაერია რეგიონულ აფეთქებებში მთიანი ყარაბაღიდან ლიბიამდე და ქვეყანაში არსებულმა დემოკრატიამ ადგილი დაუთმო ერთი კაცის მმართველობას, ავტორიტარიზმს. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ დაშორდა თურქეთი შეერთებულ შტატებს და ევროპულ ღირებულებებს, თუმცა ის ამტკიცებს, რომ, ამის მიუხედავად, თურქეთის ეკონომიკური კავშირები ევროპასთან ისე ძლიერია, როგორც არასდროს.

Findley C „Tureky, Islam, Nationalism, and Modernity: A History 1789-2007“¹⁶ ეს სამეცნიერო კვლევა ასახავს ჩვენთვის საინტერესო ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ისლამიზმი, სეკულარიზმი და ნაციონალიზმი. ფინდლი ამტკიცებს, რომ რადიკალები მართავდნენ თურქეთის რესპუბლიკას 1950 წლამდე და მათ სეკულარიზმი აქციეს გრძელვადიან „რწმენის სისტემად“, რომელიც დღემდე ინარჩუნებს ძლიერ პოზიციებს. ავტორი ყურადღებას ამახვილებს რესპუბლიკური თურქეთის პოლიტიკაში მომხდარ სამხედრო გადატრიალებებზე, ადამიანთა უფლებების დარღვევის მწვავე ფაქტებზე, დასავლეთსა და ევროკავშირთან გართულებულ ურთიერთობებზე, თურქეთის ამბივალენტურ ურთიერთობებზე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, მზარდ ფეთქებად ქურთულ საკითხზე და თურქეთის რესპუბლიკაში ისლამის გავლენის მუდმივ ზრდასა და პოლიტიკურ არასტაბილურობაზე. ამიტომაც აღნიშნული ნაშრომი მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის საკვლევ საკითხთან დაკავშირებით.

Иванова И . „Ислам в политической жизни Турции (1950 – 1980)“¹⁷

თურქეთში სეკულარულ და ისლამურ პარტიებს შორის დაპირისპირება საკმაოდ კარგადაა აღწერილი ამ ნაშრომში. ასევე აქ ყურადღებაა გამახვილებული თურქეთის ორ სამხედრო გადატრიალებაზე და სამხედროების როლზე თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ავტორი საუბრობს თურქეთში XX საუკუნის მეორე ნახევრიდან

¹⁶ Findley C. Tureky, Islam, Nationalism, and Modernity: A History 1789-2007, „Yale University Press“, 2010

¹⁷ Иванова И.. Ислам в политической жизни Турции (1950 – 1980) Зарубежный Восток: религиозные традиции и современность. Москва, „Наука,“ 1983

დაწყებული ისლამური იდეოლოგიის მქონე პარტიების გააქტიურების შესახებ და იმ საფრთხეებთან დაკავშირებით, რომლებიც ექმნება სეკულარიზმს ამ ქვეყანაში.

Киреев Н История Турции XX века¹⁸

კირეევის ნაშრომში განხილულია ის პოლიტიკური ძვრები, რომელიც დამახასიათებელი იყო თურქეთის რესპუბლიკისათვის გასულ საუკუნეში. ეს არის ვრცელი 609 გვერდიანი მონოგრაფია, რომელშიც გაშუქებულია თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები XX საუკუნის მეორე ნახევარში, აღწერილია რესპუბლიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები, საგარეო პოლიტიკის შეეფასებისას ყურადღება გამახვილებულია თურქეთის ურთიერთობებზე სსრკ-სთან, და მისი დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა სივრცეში მყოფ თურქულენოვან ხალხებთან. ამ ურთიერთობებში გადამწყვეტ როლს ასრულებდა არა იმდენად ეკონომიკა, რამდენადაც კულტურა და რელიგია. ავტორი საუბრობს პოლიტიკური ისლამის შესახებ, რომლის საბოლოო მიზნად მიიჩნევს თურქეთში სეკულარული სახელმწიფოს არსებული სამართლებრივი საფუძვლების შარიათის რეჟიმით ჩანაცვლებას.

Kundak S, Baypinar M, „The crazy project-Canal Istanbul “¹⁹

სამეცნიერო სტატიაში თურქეთის მმართველი პარტიის ლიდერისა და ქვეყნის პრეზიდენტის, ერდოღანის, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებია განხილული. საუბარია ერდოღანის „გიჟური პროექტის“, სტამბოლის არხის მშენებლობის შესახებ, რომელიც ბოსფორის სრუტის პარალელურად უნდა განხორციელდეს. ავტორი საუბრობს იმ გამოწვევებისა და შეზღუდვების შესახებ, რომლებიც თან ახლავს არხის მშენებლობას. სტატიის ავტორები თურქეთის ურბანული და რეგიონული დაგეგმარების დეპარტამენტის მეცნიერ-თანამშრომლები

¹⁸ Киреев Н, История Турции XX века, Москва, 2007.

¹⁹ Kundak S, Baypinar M, The crazy project-Canal Istanbul,

არიან, ამიტომ მათ კვლევას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასაშუქებლად.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

ნაშრომი შედგება ანოტაციის, შესავლის, სამი თავისა და თერთმეტი ქვეთავისაგან, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან და მოიცავს 227 ნაბეჭდ გვერდს

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

ნაშრომი შედგება ანოტაციის, შესავლის, სამი თავისა და თერთმეტი ქვეთავისაგან, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან და მოიცავს 227 ნაბეჭდ გვერდს.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

თავი I. თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემის თეორიული და ისტორიული საფუძვლები (ქვეთავები: 1.1. პოლიტიკური სისტემა და მისი თეორიული ბაზისი. 1.2. რეგიონის თავისებურებები და თურქეთის სახელმწიფოს იდეა. 1.3. თურქეთის პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ისტორიული ეტაპები).

პირველი თავი ეთმობა თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემის თეორიულ და ისტორიულ საფუძვლებს. კერძოდ, განმარტებულია პოლიტიკური სისტემის არსი და მისი თეორიული ბაზისი, ამასთან საუბარია რეგიონის თავისებურებებისა და თურქეთის პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ისტორიული ეტაპების შესახებ.

პირველი თავის პირველ ქვეთავში განხილულია, თუ რაში მდგომარეობს პოლიტიკური სისტემის არსი. განმარტებულია, რომ პოლიტიკურ მეცნიერებაში ტერმინი „პოლიტიკური სისტემა“ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დამკვიდრდა ამერიკელი მეცნიერის დევიდ ისტონის მიერ. მეცნიერთა განმარტებით, პოლიტიკური სისტემა აერთიანებს ყველა იმ სტრუქტურას, რომლებიც ხელს უწყობს მის გამართულ მუშაობას: სახელისუფლებო სტრუქტურებს, საჯარო სამსახურებს, პოლიტიკურ პარტიებს, სამოქალაქო საზოგადოებას, ასევე ზეწოლის ჯგუფებს და სხვ. სისტემის ფუნქციონირებისთვის მათი თანადგომა მნიშვნელოვანია. ამ ქვეთავში საუბარია აგრეთვე გაბრიელ ალმონდისა და დევიდ ისტონის შეხედულებებზე, რომლებმაც პოლიტიკურ სისტემაში გამოყვეს „შესვლისა“ და „გამოსვლის“ ფუნქციები. „შესვლა“ (იგივე მოთხოვნები) მიუთითებს იმ გზებზე, რომლითაც გარემო მოვლენები თუ პირობები ცვლის პოლიტიკურ სისტემას, ან გავლენას ახდენს მასზე - მიემართება სისტემისაკენ და გარდაიქმნება „გამოსვლად“ (ანუ გადაწყვეტილებებად და ქმედებებად).

პოლიტიკური სისტემის პირველი შემავალი ფუნქცია პოლიტიკური სოციალიზაცია და რეკრუტირებაა. პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში ადამიანები თანდათან ადაპტირდებიან პოლიტიკურ სისტემასთან და ეს ფუნქცია ხელს უწყობს არსებული სისტემის გახანგრძლივებას და ზრდის მის მხარდამჭერთა რიცხვს. რაც შეეხება რეკრუტირებას, მისი მიზანია ფართო საზოგადოების მომზადება, რათა ისინი შეასაფეროს იყვნენ პოლიტიკური როლისათვის.

პოლიტიკური სისტემის მნიშვნელოვანი შემავალი ფუნქციაა ინტერესთა აგრეგაცია. ის გულისხმობს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის, ორგანიზაციის, ჯგუფისა თუ სააგენტოს მოთხოვნების გაერთიანებას და ერთ პოზიციაზე შეთანხმებას. მაგრამ პოლიტიკური სისტემის ვერცერთი ფუნქცია ვერ განხორციელდება კომუნიკაციის გარეშე, ყველა სახის ინტერესი გამოიხატება კომუნიკაციის გზით და ამიტომაც პოლიტიკური სისტემის შემავალი ფუნქციების წარმატება უმთავრესად განისაზღვრება კომუნიკაციის ეფექტური და დამოუკიდებელი ქსელის არსებობით. მასმედიას და ბოლო დროს სოციალურ მედიას ყველაზე კარგად შეუძლია ამ ფუნქციის შესრულება. რაც შეეხება გამომავალ ფუნქციებს, ისინი შეესაბამება ჩვეულებრივ სამთავრობო ფუნქციებს, რომლებსაც ასრულებენ ხელისუფლების ძირითადი შტოები: სასამართლო ხელისუფლება (წესების განხილვა), საკანონმდებლო ორგანო (წესების დამყარება) და აღმასრულებელი ხელისუფლება (წესების გამოყენება).

პირველი თავის პირველ ქვეთავში მოცემულია ასევე იმ თეორიების დაწვრილებითი ანალიზი, რომლებიც გამოყენებული გვაქვს საკვლევ თემაზე მუშაობის პროცესში (მაქს ვებერის მოდერნიზაცია, გ. ალმონდის „პოლიტიკური კულტურის კონცეფცია და პოლიტიკური სოციალიზაცია“, რ. მიხელსის „პოლიტიკური პარტიების სოციოლოგია დემოკრატიის პირობებში“ და მისი შეხედულებები „ოლიგარქიის რკინის კანონის შესახებ“).

პირველი თავის მეორე ქვეთავში აღწერილია, თუ რა იყო აუცილებელი იმისთვის, რომ სახელმწიფო წარმოქმნილიყო ახლო აღმოსავლეთის რეგიონში და როგორია

რეალობა. ასევე მასში განხილული არის ის რთული და ხანგრძლივი ეტაპები, რაც თანამედროვე სახელმწიფოდ ჩამოყალიბებამდე გაიარეს აღმოსავლეთის ქვეყნებმა და, მათ შორის, თურქეთის რესპუბლიკამ. ამ მხრივ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს ვესტფალიის ხელშეკრულება (1648 წლის 24 ოქტომბერი), რომელმაც საფუძველი ჩუყარა სუვერენული სახელმწიფოების ხანას და განსაზღვრა ის უმთავრესი პრინციპები, რომლებიც უნდა ახასიათებდეს სახელმწიფო სუვერენიტეტს: მკაფიოდ დადგენილი საზღვრები, ტერიტორიის მთლიანობა, სახელმწიფოს მიერ მისსავე საგამგებლო ტერიტორიაზე კანონთა შემუშავება და მისი აღსრულება. ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა საზღვრების ჩამოყალიბება გასულ საუკუნეში მოხდა (1913 წლის შემდეგ). ამ საქმეში დიდი როლი შეასრულეს ევროპის სახელმწიფოებმა. სწორედ ევროპული დიპლომატიის მოღვაწეობის შედეგია საიქს-პიკოს შეთანხმება(1916 წლის 16 მაისი), რომლითაც ფაქტობრივად თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის საზღვრები ინგლისსა და საფრანგეთს შორის დადებული საიდუმლო შეთანხმებით დადგინდა. ამ შეთანხმებით ოსმალეთის იმპერიის ტერიტორია დაიყო ცალკეულ სახელმწიფოებად. კერძოდ კი, მისი არაბული ნაწილი. გარდა ამისა, 1917 წლის 2 ნოემბერს ხელი მოეწერა ბალფურის დეკლარაციას, რომელიც თავისი შინაარსით ანგარიშგასაწევ დოკუმენტს წარმოადგენს ებრაული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე.

როგორია სახელმწიფოს იდეა და რეალობა ახლო აღმოსავლეთში?- რეგიონის ქვეყნების გარდაქმნა და განახლება თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისად უკვე თითქმის ერთ საუკუნეზე მეტია რაც განუწყვეტლივ ხორციელდება და ის დღესაც მიმდინარეობს. ამ საკითხზე მსჯელობისას, პირველ რიგში, აუცილებელია ისლამის როლის განსაზღვრა რეგიონის ქვეყნების სოციალურ განვითარებაში. ეს საკითხი თავის აქტუალობას და მნიშვნელობას არ კარგავს თანამედროვე პირობებშიც და პრობლემასაც წარმოადგენს, რადგან რთულია ვისაუბროთ რეგიონის, და მათ შორის თურქეთის, მოდერნიზაციაზე, როცა ბევრ სახელმწიფოში ისლამი ოფიციალური რელიგიაა და საზოგადოებაში ბევრი ჯერ კიდევ შარიათის კანონების გამოყენებას

უჭერს მხარს, მაგალითად, პალესტინაში მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი, ეგვიპტის მოსახლეობის 74 პროცენტი, ერაყში კი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა-90 პროცენტზე მეტი და ა. შ. ან ქვეყანა სეკულარულია, მაგრამ მაინც საკმაოდ მზარდია ისლამური პარტიების გავლენა. ასეთ ქვეყანას წარმოადგენს თურქეთი.

ასეთია რეალობა ახლო აღმოსავლეთში-ხანგრძლივი და რთული პროცესების ფრთხილი განხორციელება მოითხოვს გარკვეული კონსესუსის, ერთგვარი ბალანსის პოვნას ტრადიციულ და თანამედროვე საფუძვლებთან თითოეულ ქვეყანაში, ასევე საჭიროა შიდა სოციალური განვითარება, შინაგანი მზაობა დემოკრატიული ცვლილებებისადმი და დრო, რადგან ცხოვრების წესის ერთბაშად გარდაქმნა შეუძლებელია.

პირველი თავის მესამე ქვეთავში აღწერილია, თუ რა თავისებურებებით ხასიათდებოდა თურქეთის პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების პროცესი და რა ეტაპები გაიარა მან ამ გზაზე. მასში ასევე ყურადღება გამახვილებულია იმ ძირითად მიზეზებზე, რამაც ხელი შეუწყო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ოსმალეთში წინააღმდეგობის მოძრაობის დაწყებას, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მუსტაფა ქემალი. საუბარია პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გამართული კონგრესების მუშაობის შესახებ, სადაც მხარდაჭერილი იქნა ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის დაცვისათვის ბრძოლის გაგრძელება საბერძნეთის, ინგლისისა და საფრანგეთის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. ამ ქვეთავში გაანალიზებულია ასევე სხვადასხვა ხელშეკრულებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც დადებულ იქნა პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ და რომლებმაც უშუალოდ გავლენა მოახდინეს თურქეთის რესპუბლიკის ჩამოყალიბებაზე. ასევე წარმოჩენილია სასულთნოსა და სახალიფოს გაუქმებასთან დაკავშირებული სირთულეები, რაც თან ახლდა თურქეთის სეკულარულ რესპუბლიკად გამოცხადებას.

თავი II. ლაიცისტური თურქეთის ევროპეიზაცია და თურქეთის რესპუბლიკის სეკულარული პოლიტიკური ურთიერთობები (ქვეთავები: 2.1. კონსტიტუცია,

როგორც სეკულარიზმის გარანტი. 2.2. ისლამის როლი ევროპეიზებულ თურქეთში. 2.3. პოლიტიკური პარტიები და სამხედრო გადატრიალებები თურქეთის რესპუბლიკაში. 2.4. მედია, როგორც თურქეთის პოლიტიკური სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტი).

მეორე თავში განხილულია ლაციისტური თურქეთის ევროპეიზაცია და თურქეთის რესპუბლიკის სეკულარული პოლიტიკური ურთიერთობები. საუბარია თურქეთის კონსტიტუციებში შეტანილი ცვლილებების შესახებ, რომელიც სეკულარიზმის განმტკიცებას ემსახურება, ასევე ეს ქვეთავი მოიცავს ინფორმაციას პოლიტიკური პარტიების საქმიანობასა და თურქეთში მომხდარ სამხედრო გადატრიალებებთან დაკავშირებით, განხილულია რა როლს თამაშობს ისლამი თურქეთის ევროპეიზაციის პროცესში და წარმოდგენილია მედია, როგორც ამ ქვეყნის პოლიტიკური სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტი.

მეორე თავის პირველ ქვეთავში განხილულია ის წინააღმდეგობები, რომლებიც თან ახლდა სეკულარიზმის განმტკიცებას თურქეთში და ის ცვლილებები, რომლებიც პერიოდულად შედიოდა ქვეყნის კონსტიტუციებში. საუბარს ვიწყებთ 1876 წელს ოსმალეთის იმპერიაში მიღებული პირველი კონსტიტუციით, ასევე განხილული გვაქვს 1921 წლის „გარდამავალი კონსტიტუცია“, 1924 წლის პირველი რესპუბლიკური კონსტიტუცია და მისი შემდგომი კონსტიტუციები. დღეისათვის რესპუბლიკაში მოქმედებს 1982 წელს მიღებული კონსტიტუცია მასში შეტანილი დამატებებით და ცვლილებებით. XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის 10-იან წლებში თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში განხორციელებულმა ცვლილებებმა საგრძნობლად შეცვალა ქვეყნის ძირითადი კანონის შინაარსი. სახელმწიფოს ძირითად კანონში შეტანილი დამატებების მიუხედავად, თურქეთის სეკულარიზმი დაცულია მისივე კონსტიტუციის მე-2 მუხლით, თუმცა 2021 წელს პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ მისმა პარტიამ შესაძლოა მუშაობა დაიწყოს ახალ კონსტიტუციაზე. როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, 2023 წელს

პრეზიდენტმა ერდოღანმა კიდევ ერთხელ გაიმეორა ამის შესახებ. „ისეთი ქვეყანა, როგორც თურქეთია თითქმის ერთსაუკუნოვანი რესპუბლიკური წყობით და 73 წლიანი დემოკრატიით, იმსახურებს უკეთეს კონსტიტუციას“-განაცხადა მან და ყველა პოლიტიკურ პარტიას, დარგში სპეციალისტებს და ექსპერტებს მოუწოდა დაეწყოთ ახალი დოკუმენტის მომზადება.

კონსტიტუციის ცვლილება ამ ქვეყანაში ერთობ სენსიტიურ საკითხად ითვლება და თუ მაინც განხორციელდება პრეზიდენტის ჩანაფიქრი, ვფიქრობთ, ეს იქნება პირველი ახალი სამოქალაქო კონსტიტუცია თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკაში იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო ორი კონსტიტუცია 1961 და 1982 წლების სამხედრო გადატრიალებების შემდგომ შეიქმნა. შეიძლება ითქვას, რომ თურქეთის კონსტიტუციის მომავალი არ არის ნათელი, თუმცა თუ გავითვალისწინებთ 2023 წლის მუნიციპალურ არჩევნებში ერდოღანის წარუმატებლობას, დაანონსებული ახალი კონსტიტუციის შემუშავების მიზანი იქნება მმართველი სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ძალაუფლების გამყარება. თურქეთი კი უარს არ იტყვის სეკულარიზმზე, რადგან ქვეყნის ევროპული მომავლისა და განვითარებისათვის სეკულარიზმი მნიშვნელოვანია.

მეორე თავის მეორე ქვეთავში საუბარია თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემის ისეთ სერიოზულ გამოწვევაზე, როგორცაა რელიგია_ისლამი. ევროპასთან ურთიერთობის ჭრილში მოცემულია თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე არსებული სირთულეების განხილვა, ერდოღანისა და მმართველი პარტიის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების ანალიზი. ყურადღება გამახვილებულია იმაზე თუ რა გამოწვევების წინაშე დგას თურქეთში სეკულარიზმი. როგორია რელიგიის როლი სახელმწიფოს განვითარებაში და რამდენად არის ზომიერი ისლამი ჩართული ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში.

ქვეყანაში ზომიერი ისლამის გაძლიერებას ხელი შეუწყო საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამაც, კერძოდ, ამ პერიოდის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების

ხელისუფლებაში მოვიდნენ პროკომუნისტური ძალები და ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ეს ქვეყანა შეეცადა ისლამი მძლავრ იარაღად გამოეყენებინა კომუნიზმის საფრთხის წინააღმდეგ. ყოველივე ამან გამოიწვია ისლამის კვლავ აღორძინება თურქეთში.

რელიგიური საკითხი თურქეთში განსაკუთრებით გააქტიურდა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან. ქვეყანაში ერთმანეთის მიყოლებით იქმნებოდა რელიგიური სექტები და ორდენები, სამხედრო გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოსულმა დროებითმა მთავრობამ ახალი კონსტიტუცია მიიღო და 1965 წლის 13 ივლისის კანონით აიკრძალა ისეთი პარტიების დაფუძნება, რომლებიც, რელიგიურ მოძღვრებებს ეყრდნობოდა და გამოდიოდა სახალიფოს აღდგენის მოთხოვნით, მაგრამ მიუხედავად ამ აკრძალვისა, თურქეთში ისლამური პროგრამების მქონე პოლიტიკური პარტიები რეალობად იქცა. ამ მიმართულებით ერთ-ერთ პირველ მცდელობას ადგილი ჰქონდა 1967 წელს, როდესაც ჩამოყალიბდა „განთავისუფლების პარტია“ (დამფუძნებელი ოზქანი). აღნიშნული პარტიის წევრებმა გაავრცელეს თურქეთის კონსტიტუციის პროექტი, რომლის მიხედვითაც, შემოთავაზებული იყო ქვეყანაში თეოკრატიული რეჟიმის დამყარება. ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა იმდროინდელი მმართველი პარტიის („ხსნის პარტია“) სასტიკი წინააღმდეგობის გამო.

მსოფლიოში „ისლამური რენესანსი“, ან „ისლამური აღორძინება“ განვითარების ახალ საფეხურზე გადავიდა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან და ამ პროცესის შემდგომ განვითარებას თურქეთში ხელი შეუწყო ნეჯმეთინ ერბაქანის მიერ ჩამოყალიბებულმა „ეროვნული წესრიგის პარტიამ“, რომელიც თავისი არსით პროისლამური პარტია იყო. აქვე აღვნიშნული გვაქვს, რომ სეკულარიზმის მიუხედავად, ისლამს ყოველთვის თავისი მხარდამჭერები ჰყავდა ყველა მმართველი პარტიის რიგებში 1924 წლიდან მოყოლებული, მაგრამ ამ ეტაპზე პროისლამური „ეროვნული წესრიგის პარტიის“ დაარსება და ლეგალურად საქმიანობა ქვეყანაში ისლამის გაძლიერების უტყუარ

დასტურს წარმოადგენდა. 1980 წელს თურქეთში კიდევ უფრო მეტად გააქტიურდა ისლამური მოძრაობა, რამაც აიძულა სამხედროები მოეხდინათ მორიგი გადატრიალება, რათა ხელი შეეშალათ ისლამური იდეოლოგიის მქონე პარტიების ხელისუფლებაში მოსვლისათვის, თუმცა ამით არ მომხდარა ისლამის როლის გამორიცხვა თურქეთის პოლიტიკური ცხოვრებიდან. 1995 წლის არჩევნებმა აჩვენა კიდევ რელიგიის გავლენის ზრდის შეუქცევადი პროცესი-პირველად სეკულარული თურქეთის ისტორიაში ზომიერი ისლამური კეთილდღეობის პარტიამ დაახლოებით ხმების 22% მიიღო და პარლამენტში მანდატების საკმაო რაოდენობა მოიპოვა. მართალია 1997 წელს სამხედროების ჩარევამ კეთილდღეობის პარტიას არ მისცა საშუალება თავისი პოლიტიკური პროგრამისა და ჩანაფიქრის რეალიზება მოეხდინა, თუმცა 2002 წელს სამართლიანობისა და განვითარების ზომიერ ისლამურ პარტიას გამარჯვებაში ხელი ვერავინ შეუშალა. ალბათ სულ რაღაც ერთი საუკუნის წინ ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, რომ პროისლამური მთავრობა მოვიდოდა დიდი სეკულარული სახელმწიფოს ხელისუფლებაში.

თურქეთს მნიშვნელოვანი სტრატეგიული პოზიცია უკავია და ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდია ევროპასა და აზიას შორის, აკონტროლებს ბოსფორს და დარდანელს, აქვს საკმაოდ კარგად განვითარებული ეკონომიკა, ჰყავს მრავალრიცხოვანი თანამედროვე შეიარაღებული ძალები და ასევე მრავალრიცხოვანი დიასპორა ევროკავშირის ქვეყნებში... ამ პრივილეგიებთან ერთად პოლიტიკური ისლამის აღზევებამ შესაძლოა საფრთხეს შეუქმნას თურქეთის სეკულარული სახელმწიფოს მომავალს. ისლამს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო რელიგია იყო და არეგულირებდა მისი ცხოვრების ყველა სფეროს, დღესაც დიდი მხარდაჭერა აქვს მასებსა და პოლიტიკურ წრეებში.

მეორე თავის მესამე ქვეთავი დაეთმო თურქეთში სეკულარიზმის ყველაზე ერთგულ დამცველებს სამხედროებს, რომლებიც სახელმწიფო გადატრიალებებს აწყობდნენ მაშინ, როცა ამ ქვეყანაში სეკულარიზმს საფრთხე დაემუქრებოდა ზომიერი

ისლამისაგან. ამ ქვეთაში ყურადღება გამახვილებულია სამხედრო გადატრიალებების მიზეზებზე, მათ სპეციფიკურ ხასიათსა და შედეგებზე. ასევე აღწერილია სეკულარიზმის მიუხედავად თუ როგორ გამოვიდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე ზომიერი ისლამური პარტიები, რომლებმაც თანდათან მოუშაადეს ნიადაგი ამ ქვეყანაში ზომიერი ისლამის მეტ-ნაკლებად დამკვიდრებას.

მეორე თავის მეოთხე ქვეთავში საუბარია თურქეთში მედიის გავლენაზე საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასა და სახელმწიფო მმართველობითი სისტემის გაძლიერებაზე, ასევე იმ ცვლილებებზე, რომლებიც სახელისუფლებო პარტიამ განახორციელა მედიასექტორში და შეეცადა ის თავისი მტკიცე გავლენისათვის დაეკვმდებარებინა. ყურადღება გამახვილებულია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, როდესაც 2003 წლის „ბალიოზის“, 2007 წლის „ერგენეკონის“, 2013 წლის გეზის პარკის მოვლენების და 2016 წლის არშემდგარი სამხედრო გადატრიალების მცდელობის საქმესთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შემდეგ, რომელშიც ასობით სამხედრო და მშვიდობიანი მოქალაქე გაასამართლეს, მმართველმა ძალამ ეტაპობრივად ჩამოიშორა გზიდან ცნობილი ოპოზიციონერები და „დამოუკიდებელი მედიის“ წარმომადგენლები, რამაც გამოიწვია სახელისუფლებო სამართლიანობისა და განვითარების პარტიის და მისი ლიდერის რეჯეფ თაიფ ერდოღანის ძალაუფლების გაძლიერება. წარმოჩენილია რამდენად აქტიურად იყო ჩართული მასმედია: პრესა, ტელევიზია, ინტერნეტი და სხვ. ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გაშუქებაში.

თავი III. თურქეთის სახელმწიფოს პოლიტიკური პრიორიტეტები და პოლიტიკური სისტემის თანამედროვე გამოწვევები (ქვეთავები: 3.1. სახელმწიფო და რელიგიური ინსტიტუტები. 3.2. პოლიტიკური სისტემის ცვლილებები სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობის პერიოდში. 3.3. თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემის გამოწვევები და ზომიერი ისლამის პრობლემა. 3.4. ემპირიული კვლევა-ექსპერტების გამოკითხვა, ნახევრადსტრუქტურული ჩაღრმავებული ინტერვიუ დარგის სპეციალისტებთან).

მესამე თავში საუბარია თურქეთის სახელმწიფოს პოლიტიკური პრიორიტეტებისა და პოლიტიკური სისტემის თანამედროვე გამოწვევების შესახებ, ამასთან განხილულია სახელმწიფოსა და რელიგიური ინსტიტუტების ურთიერთობა, პოლიტიკური სისტემის ცვლილებები სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობის პერიოდში, შესწავლილია პოლიტიკური სისტემის გამოწვევები და ზომიერი ისლამის პრობლემა.

მესამე თავის პირველი ქვეთავი დაეთმო სახელმწიფოსა და რელიგიური ინსტიტუტების ურთიერთობას, შეიძლება ითქვას, რომ როგორც ტრადიციული, ისე ახალი რელიგიური ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თანამედროვე თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი თავიანთი საქმიანობით ხელს უწყობენ ისლამის გაძლიერებას ქვეყანაში, ზრდიან სულიერი ღირებულებებისადმი ერთგულ თაობას და სარგებლობენ მოქმედი მთავრობის ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერით, თუმცა ფაქტია, რომ ამისათვის თავიანთი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დათმობა უწევთ. ამ ქვეთავში ყურადღება გამახვილებულია დიანეთის (Diyanet), ჯემათის (cemaats) და ახლადწარმოქმნილი რელიგიური ორგანიზაციების (თურქეთის ახალგაზრდობისა და განათლების სერვისის ფონდი (TÜRGEV), თურქეთის ახალგაზრდობის ფონდი (TÜGVA)) საქმიანობასა და ურთიერთდამოკიდებულებაზე. ისინი არ არიან ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი და მათი საქმიანობით ხელს უწყობენ თანამედროვე თურქეთის ავტორიტარული პოლიტიკური სისტემის გაძლიერებას და შენარჩუნებას.

მესამე თავის მეორე ქვეთავში წარმოჩენილია თურქეთის პოლიტიკურ სისტემაში მომხდარი თუ მიმდინარე ცვლილებები, რომელსაც ადგილი ჰქონდა, ან აქვს ზომიერი ისლამური იდეოლოგიის მქონე სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობის პერიოდში, რომელიც თავის თავს ასევე პროდასავლურ პარტიადაც მიიჩნევს, თუმცა დღეს გარკვევით არ ადასტურებს რჩება თუ არა სახელმწიფო სეკულარიზმის ერთგული.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მმართველი სამართლიანობისა და განვითარების ზომიერი ისლამური პარტია თავს პროდასავლურად აცხადებდა და მხარს უჭერდა, ერთის მხრივ, ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკას, მეორეს მხრივ კი მიზნად ისახავდა ევროკავშირში გაწევრიანებას. მოსახლეობამ, რომელიც თითქოსდა დაღლილი იყო მემარჯვენე და მემარცხენე მიმართულების ძალთა დაუსრულებელი მეტოქეობით, მზარდი ინფლაციითა და ისლამური ლოზუნგებით და გრძნობდა მათ უშედეგობას მძლავრი სეკულარიზმის ფონზე, მხარი დაუჭირა იმ ძალას, რომელიც მშვიდობას, წესრიგს, ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას და სახელმწიფოსა და საზოგადოების კეთილდღეობის გაზრდას ჰპირდებოდა მათ. 2003 წელს რეჯეფ თაიფ ერდოღანი თურქეთის პრემიერ-მინისტრი გახდა და მალევე დაიწყო საუბარი (2005) მმართველობით სისტემაში მოსალოდნელი ახალი ცვლილებების შეტანის შესახებ, რაც ითვალისწინებდა საპარლამენტო რესპუბლიკის საპრეზიდენტო რესპუბლიკად გარდაქმნას. 2007 და 2010 წლის რეფერენდუმებით კონსტიტუციაში განხორციელდა მორიგი ცვლილებები: 2007 წლის 21 ოქტომბრის რეფორმის შესაბამისად უნდა შეცვლილიყო პრეზიდენტის არჩევის წესი-მას აირჩევდა მოსახლეობა და არა პარლამენტი, 2010 წლის რეფერენდუმით კი შეიზღუდა სამხედრო ლიდერების ძალაუფლება. ასევე იგი შეეხო სასამართლო სისტემასა და ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურს. სეკულარული თურქეთის გამორჩეულმა ლიდერმა ნელ-ნელა დაიწყო სახელმწიფო სისტემის „წმენდა“ მისი პოლიტიკით უკმაყოფილო მაღალჩინოსნებისაგან, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ არსებული პოლიტიკური სისტემის მდგრადობას.

განვითარებულმა პროცესებმა მესიჯი გაუგზავნა ყველას, რომ ვინც ერდოღანის წინააღმდეგ შეეცდებოდა გამოსვლას, ადვილად შეიძლებოდა მოხვედრილიყოციხეში, მოესმინათ მათი პირადი სატელეფონო საუბრები, შეემოწმებინათ ელ-ფოსტა და ა.შ.

თურქეთის რესპუბლიკის არსებობის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა 2017 წლის 16 აპრილის საკონსტიტუციო რეფერენდუმი, სადაც მმართველმა პარტიამ

მოსახლეობას შესთავაზა განსახორციელებელი საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტი, რომელსაც მხარი დაუჭირა გამოკითხულთა 51,33%-მა. ამ ცვლილებების განხორციელებაში სამართლიანობისა და განვითარების პარტიას მხარი დაუჭირა ნაციონალისტური მოძრაობის პარტიამ (MHP), ხოლო სახალხო რესპუბლიკური პარტია (CHP) და პროქურთული პარტია (HDP) აქტიურ კამპანიას აწარმოებდნენ დაგეგმილი საკონსტიტუციო ცვლილებების წინააღმდეგ. რეფერენდუმით მიღებული გადაწყვეტილებები მართლაც ისტორიული იყო - საპარლამენტო სისტემა შეიცვალა საპრეზიდენტო სისტემით და დღეს თურქეთი საპრეზიდენტო რესპუბლიკაა ძლიერი სამოხელეო აპარატით.

მესამე თავის მესამე ქვეთავში განხილულია ის ძირითადი ეტაპები, რომლებიც ზომიერმა ისლამურმა პარტიებმა გაიარეს, რათა ქვეყნის ხელისუფლებაში მოსულიყვნენ. აქვე ყურადღება გამახვილებულია იმ გამოწვევებზე, რომელშიც შექმნილმა ვითარებამ დააყენა თურქეთის პოლიტიკური სისტემა და გარკვეული პრობლემები შეუქმნა ამ ქვეყანაში სეკულარიზმს. ნაშრომზე მუშაობისას სათანადო თეორიების დახმარებით განვიხილეთ საკვლევი საკითხი სხვადასხვა მიმართულებით. კვლევის პერიოდში ხშირად გადავაწყდით აზრთა სხვადასხვაობას იმასთან დაკავშირებით, დააყენებს თუ არა პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე ზომიერი ისლამის მომძღვრება ამ ქვეყანაში სეკულარიზმს. ამიტომ თემაში მნიშვნელოვანი ადგილი დავუთმეთ თურქულ პოლიტიკაში ისლამის მომძღვრების მიზეზებისა და შედეგების შესწავლასა და ანალიზს.

მესამე თავის მეოთხე ქვეთავი მოიცავს დარგის სპეციალისტებთან ინტერვიუს.

სადოქტორო ნაშრომზე მუშაობისას, ნაშრომის სრულყოფისა და უკეთ გააზრების მიზნით, გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი, კონკრეტულად ჩაღრმავებული ინტერვიუ, როგორც პოლიტიკურ მეცნიერებაში გამოკითხვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება.

სამიზნე ჯგუფად შევარჩიეთ დარგის სპეციალისტები და ექსპერტები, რომელთა თეორიულ-პრაქტიკული გამოცდილება, რეკომენდაციები და მოსაზრებები მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევისთვის.

საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტებისგან მივიღეთ განსხვავებული და საინტერესო ინფორმაცია. დადასტურდა ნაშრომის ჰიპოთეზა. ექსპერტების თანახმად, დღეს თურქეთის პოლიტიკას ერთდროულად განსაზღვრავს ზომიერი ისლამი და სეკულარიზმი. ბუნებრივია, მათ შორის ადგილი აქვს გარკვეულ წინააღმდეგობას, თუმცა ფაქტია, რომ ორივე მათგანი თითქმის თანაბრად არის წარმოდგენილი პოლიტიკაში. როგორც სეკულარიზმს, ისე ზომიერ ისლამს მნიშვნელოვანი დატვირთვა გააჩნია თანამედროვე თურქეთის პოლიტიკურ სისტემაში, რითაც ეს ქვეყანა გამოირჩევა ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სხვა ქვეყნების პოლიტიკური სისტემებისაგან.

დასკვნა

თანამედროვე თურქეთის სახელმწიფო-პოლიტიკური სისტემა მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რომელსაც თავისი ჩამოყალიბების ისტორია და ეტაპები გააჩნია. ამ პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ერთმანეთის გვერდით სეკულარიზმისა და ზომიერი ისლამის არსებობა, რომელთა მეტოქეობა წინა საუკუნის 20-იანი წლებიდან იღებს სათავეს. სეკულარული თურქეთის ფუძემდებლის, მუსტაფა ქემალის, გარემოცვაშიც კი არსებობდნენ რელიგიის დამცველი და ერთგული ადამიანები, რის გამოც ვერ მოხერხდა სასულთნოსა და სახალიფოს ერთბაშად გაუქმება. თუმცა მუსტაფა ქემალიმ მოახერხა ქვეყანა ევროპულ ყაიდაზე გადაეწყო ისე, რომ არ დაეკარგა ერთგვარი ბალანსი ევროპულ და აღმოსავლურ ღირებულებებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ სეკულარულ რესპუბლიკაში რელიგია სახელმწიფოს გამოეყო ისლამური იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური პარტიების საქმიანობა ქვეყანაში მაინც შეინიშნებოდა, რამაც განსაკუთრებით გამოკვეთილი ხასიათი მიიღო უკვე XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა მემარცხენე-ცენტრისტულმა სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ მრავალპარტიულობა დაუშვა და ხელისუფლება ჯელალ ბაიარისა და ადნან მენდერესის დემოკრატიულ პარტიას გადააბარა. თუმცა დემოკრატიული პარტიის მმართველობა შორს აღმოჩნდა დემოკრატიისაგან და ის უფრო ზომიერი ისლამისაკენ იხრებოდა, რასაც მოჰყვა 1960 წლის სამხედრო გადატრიალება.

„ისლამური აღორძინება“ თურქეთში გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან უფრო მეტად გაფართოვდა ჯერ პრო-ისლამური ეროვნული წესრიგის პარტიის დაარსებით, მოგვიანებით კი კეთილდღეობის პარტიის ჩამოყალიბებით. მომდევნო 30 წლის განმავლობაში სამი წარმატებით განხორციელებული სამხედრო გადატრიალება მოხდა თურქეთის ისტორიაში: 1971, 1980 და 1997 წლებში, რომელთა მიზეზიც თურქეთის პოლიტიკაში ზომიერი ისლამის მომძლავრება იყო, რასაც

ეწინააღმდეგებოდა ქემალიზმის ყველაზე ერთგული დამცველი სამხედრო ელიტა. ყველა გადატრიალებას თან ახლდა შესაბამისი ცვლილებების შეტანა ქვეყნის კონსტიტუციაში, რომელიც სეკულარიზმის განმტკიცებას ემსახურებოდა.

მიუხედავად ისლამური იდეოლოგიის მქონე პარტიების მიმართ განხორციელებული რეპრესიებისა, ხელი ვერავინ შეუშალა პრო-ისლამური პოლიტიკური პარტიების მომძლავრებას თურქეთში, უფრო მეტიც, ვერავინ შეაფერხა ზომიერი ისლამური სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მოსვლა ხელისუფლებაში, რომელიც 2002 წლიდან ქვეყნის მმართველი პარტიაა, 2003 წლიდან კი მას სათავეში რეჯეფ ტაიფ ერდოღანი ჩაუდგა პრემიერ-მინისტრის რანგში. თავიდანვე მმართველმა პარტიამ თავისი თავის „პოსტ-ისლამისტურ“ პარტიად წარმოჩენით და დემოკრატიული გარდაქმნებისადმი მხარდაჭერის დადასტურებით დასავლეთისა და თურქი ლიბერალების კეთილგანწყობა მოიპოვა. თუმცა მთავრობის მეთაურმა მალევე დაიწყო ფიქრი ქვეყანაში ზომიერი ისლამის კიდევ უფრო გაძლიერებაზე და განხორციელებული რეფორმებითა და ხშირი კონსტიტუციური ცვლილებებით მოახდინა თურქეთის პოლიტიკური სისტემის ცვლილებაც- 2017 წლის 16 აპრილის რეფერენდუმით ქვეყანაში საპარლამენტო მმართველობა საპრეზიდენტო მმართველობამ ჩაანაცვლა.

2002 წლიდან მოყოლებული თურქი ხალხის უმრავლესობამ რეჯეფ ტაიფ ერდოღანს რამდენჯერმე ანდო ქვეყნის ბედი. მოქმედი პრეზიდენტი თუ ხელისუფლებაში ევროპასთან დაახლოების მოწოდებებით მოვიდა, დროთა განმავლობაში მის მიერვე განხორციელებული რეფორმებით მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. ამიტომაცაა, რომ თავისი ფასეულობებითა და იდეოლოგიური ორიენტირებით მმართველი პარტიის დღევანდელი პროგრამა მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ პროგრამისაგან, რომელმაც ამ პარტიას წარსულში წარმატება მოუტანა.

საშინაო პოლიტიკაზე როცა ვსაუბრობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ პრეზიდენტმა თავისი თავი სხვადასხვა შეთქმულებისა თუ სამხედრო გადატრიალების მცდელობის სამიზნედ და მსხვერპლად წარმოაჩინა და ეს კარგად გამოიყენა თავისი ოპონენტების, განსაკუთრებით კი სამხედრო ელიტის დასასუსტებლად. თურქეთის მთავრობის პოლიტიკა ავტორიტარული გახდა, ისლამური რიტორიკით უფრო მეტად შეფერილი, რამაც თავისთავად გამოიწვია არმიის, როგორც რესპუბლიკის ლაიცისტური პრინციპების დამცველის, როლის შესუსტება.

თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემის კიდევ ერთ თავისებურებას წარმოადგენს თურქეთის მზარდი სურვილი ლიდერის როლი დაიკავოს მუსლიმურ ქვეყნებს შორის. სამხედრო გენერალიტეტის როლის ნაწილობრივ შესუსტებამ თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში კიდევ უფრო გააძლიერა ზომიერი ისლამი ქვეყანაში, რასაც ადასტურებს თურქეთის წევრობა მთელ რიგ ისლამურ ორგანიზაციებში, როგორცაა „იკო“, „ითო“, „ეთო“ და „ისლ“-ი. სეკულარიზმის კრიტიკა მმართველი პარტიის მხრიდან, სამხედრო მაღალჩინოსნების მასობრივი დაპატიმრებები, აია სოფიას მეჩეთად გადაკეთება, რელიგიური ინსტიტუტების და, ზოგადად, მეჩეთების რიცხვის ზრდა ქვეყანაში ისლამურ სამყაროში თურქეთის გავლენის ზრდაზე მიუთითებს. ასევე დიდი ყურადღება ექცევა თურქეთში რელიგიურ საქმეთა სამმართველოს საქმიანობას. უფრო მეტიც, რელიგიურ საქმეთა სამმართველო გამოდის ინიციატივით, რომ ბავშვებისათვის სკოლამდელი ასაკიდანვე სავალდებულო გახდეს რელიგიური სწავლება. დარგის სპეციალისტთა ერთი ნაწილის აზრით, ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებები იდეოლოგიური ხასიათისაა და სწორედ მათი არსებობა და თურქეთის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა ადასტურებს საეროდან რელიგიურ იდეოლოგიაზე გადასვლის მცდელობას.

თურქეთი მოხერხებულად იყენებს რელიგიასა და კულტურას არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ რელიგიის გამოყენებით ცდილობს ხელი შეუწყოს თურქული

კულტურის გავრცელებას ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. ამის დადასტურებაა რელიგიურ საქმეთა სამმართველოს (დიანეთის) მჭიდრო კავშირები საზღვარგარეთ არსებულ თურქულ დიასპორასთან. დღეს თურქეთის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ევროკავშირში ქვეყნის გაწევრიანების საკითხი. კიდევ უფრო მზარდი ისლამიზაციის ხარჯზე თანდათან მცირდება იმ ადამიანების რიცხვი, რომელიც მხარს უჭერს ევროკავშირში გაწევრიანებას, თუმცა მიუხედავად ამ უთანხმოებისა, ნაკლებად სავარაუდოა დასავლეთისაგან თურქეთის დისტანცირება. დღეს თურქეთის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრავს მის როლს და ადგილს მსოფლიო პოლიტიკაში. ერდოღანს სურს, მის მიერ გადადგმული ნაბიჯებით დასავლეთს დაანახვოს, რომ ის ძლიერი ისლამური რესპუბლიკაა, რომელსაც, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია.

ინტერესთა კონფლიქტი სეკულარიზმსა და ისლამს შორის გრძელდება. უფრო მეტიც, მრავალწლიანი მეტამორფოზის შემდეგ ისლამმა თურქეთის პოლიტიკაში ახალი ძალა და გავლენა შეიძინა და „ერთგვარ საფრთხედ“ იქცა სეკულარული სახელმწიფოს არსებობისა და შიდა უსაფრთხოებისათვის. დარგის სპეციალისტების აზრით, ერდოღანის ჩანაფიქრი, რომ ხელი შეუწყოს ისლამის განმტკიცებას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის საზღვრებს გარეთაც, ათათურქის ძირითადი პრინციპებიდან დაშორებას იწვევს.

ნაშრომზე მუშაობისას სათანადო თეორიების დახმარებით მოვახდინეთ საკვლევი საკითხის განხილვა სხვადასხვა მიმართულებით. კვლევის პერიოდში ხშირად გადავაწყდით აზრთა სხვადასხვაობას იმასთან დაკავშირებით, დააყენებს თუ არა პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე ზომიერი ისლამის მომძლავრება ამ ქვეყანაში სეკულარიზმს. ამიტომ თემაში მნიშვნელოვანი ადგილი დავუთმეთ თურქულ პოლიტიკაში ისლამის მომძლავრების მიზეზებისა და შედეგების შესწავლასა და ანალიზს.

კვლევის საწყის ეტაპზე განისაზღვრა ოთხი ძირითადი საკვლევი კითხვა, რომლებზე პასუხის გაცემაც, ჰიპოთეზის გადამოწმებასთან ერთად, წარმოადგენდა წინამდებარე სადოქტორო ნაშრომის ძირითად დანიშნულებას. კვლევის პროცესში შევძელით დაგვედგინა, რომ თავდაპირველად სეკულარიზმს მოერგო მუსლიმური თურქეთი, მაგრამ შემდგომი პერიოდის ცვლილებებმა დაადასტურა, რომ ეს მხოლოდ დროებითი იყო. დღეს სეკულარიზმი ფასადურ ხასიათს ატარებს ამ ქვეყანაში. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს ის გარემოება, რომ თურქეთში ადგილი აქვს ზომიერი ისლამის გავლენის ზრდას, რასაც თავის დროზე ხელი შეუწყო გაზრდილმა კომუნიზმის გავრცელების საფრთხემ და ასევე მზარდმა ელიტურმა კორუფციამ. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მოწოდებით ისლამურმა პარტიებმა და მათმა იდეოლოგიამ მოსახლეობის დიდი მხარდაჭერა მოიპოვა. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ ისლამი და სეკულარიზმი მნიშვნელოვანია თურქეთისთვის ისლამურ სამყაროსთან და ევროპასთან ურთიერთობის თვალსაზრისით. მმართველი პარტია ორივე მათგანს კარგად იყენებს ასევე ქვეყნის შიგნით პოლიტიკური კლიმატის დაბალანსებისთვის.

კვლევამ და მიღებული შედეგების ანალიზმა მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სადისერტაციო ნაშრომში ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა დასტურდება, რომლის მიხედვითაც დღეს თურქეთის პოლიტიკას ერთდროულად განსაზღვრავს ზომიერი ისლამი და სეკულარიზმი. ბუნებრივია, მათ შორის ადგილი აქვს გარკვეულ წინააღმდეგობას, თუმცა ფაქტია, რომ ორივე მათგანი თითქმის თანაბრად არის წარმოდგენილი პოლიტიკაში. როგორც სეკულარიზმს, ისე ზომიერ ისლამს მნიშვნელოვანი დატვირთვა გააჩნია თანამედროვე თურქეთის პოლიტიკურ სისტემაში, რითაც ეს ქვეყანა გამოირჩევა ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სხვა ქვეყნების პოლიტიკური სისტემებისაგან.

სეკულარული თურქეთი, რომელიც დღეს მნიშვნელოვანი სახელმწიფოა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, ატარებს დაბალანსებულ და საკუთარ ინტერესებზე ორიენტირებულ პოლიტიკას, რაც ხელს უწყობს ქვეყნის პრესტიჟის განმტკიცებასაც.

ექსპერტები სიფრთხილით ეკიდებიან თურქეთის საკითხს, თუმცა ცალსახად თანხმდებიან ერთ ფაქტზე, რომ თურქეთში სეკულარიზმს მისივე კონსტიტუცია იცავს. საკონსტიტუციო ცვლილებები კი თურქეთის რესპუბლიკაში მეტად მგრძობიარე საკითხია, თუმცა საშინაო პოლიტიკაში კვლავ იგრძნობა რელიგიური ინსტიტუტების როლის ზრდის ტენდენცია. თურქეთის „ახალ სულთანად“ წოდებული რეჯეფ ტაიფ ერდოღანი განაგრძობს „ახალი თურქეთის“ შექმნას, სადაც რელიგიური ინსტიტუტების გაძლიერებასთან ერთად უარს არ ამბობს სეკულარიზმზე, რაც წარმოადგენს თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს თავისებურებას.

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა სამი კოლოკვიუმი და ერთი თემატური სემინარი. სამი კოლოკვიუმი (თითოეული არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი)

კოლოკვიუმი #1 - თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური სისტემის თეორიული და ისტორიული საფუძვლები.

კოლოკვიუმი #2 - ლაიცისტური თურქეთის ევროპეიზაცია და თურქეთის რესპუბლიკის სეკულარული პოლიტიკური ურთიერთობები.

კოლოკვიუმი #3 - თურქეთის სახელმწიფოს პოლიტიკური პრიორიტეტები და პოლიტიკური სისტემის თანამედროვე გამოწვევები.

თემატური სემინარი (ეძღვნება დარგის/ქვედარგის აქტუალურ საკითხს და არ წარმოადგენს სადისერტაციო თემის ნაწილს)

ჰამასის ჩართულობა პალესტინის პოლიტიკურ ცხოვრებაში და მისი სამხედრო აქტივობები

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

სტატიები:

1. კოპალიანი ნ, სეკულარიზმის განმტკიცება თურქეთის კონსტიტუციებით, პოლიტოლოგოსი. 2024
2. კაპანაძე მ, კოპალიანი ნ, თურქეთის ეროვნული უსაფრთხოების საკითხი და ფინეთ - შვედეთის გაწევრიანება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში, აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, ტომი V, ნომერი II, ბათუმი. 2022

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები:

1. კოპალიანი ნ, თურქეთის რეგიონული ამბიციები (სტამბოლის არხი), საქართველო - ირანის პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მეექვსე საერთაშორისო - სამეცნიერო კონფერენციის შრომები, თბილისი, 2022
2. კაპანაძე მ, კოპალიანი ნ, რელიგიის გავლენა თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე, მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია (გამოწვევები და ტენდენციები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში), ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი, N4, თბილისი, 2023
3. Kapanadze M. N., Kopaliani N. V. EUROPEANIZATION OF THE REPUBLIC OF TURKEY AND ISLAM, MODERN PROBLEMS OF SCIENCE, EDUCATION AND SOCIETY, Proceedings of XI International Scientific and Practical Conference Kyiv, Ukraine, 8-10 January, 2024
4. Kapanadze M. N., Kopaliani N. V. TURKEY AND REGIONAL ORGANIZATIONS , MODERN RESEARCH IN SCIENCE AND EDUCATION, Proceedings of XI International Scientific and Practical Conference , Chicago, USA, 27-29 Jun, 2024



Caucasus International University

Faculty of Social and Human Sciences

Doctoral Educational Program in Political Sciences

Right of Authorship

Nino Kopaliani

Peculiarities of the modern Turkish political system

Abstract dissertation Presented for the degree of Doctor of Political Science

Tbilisi, Georgia

2024

Scientific supervisor:

Maya Kapanadze

Doctor of History,

Associate Professor of Caucasus International University

Official reviewers:

Emzar Makaradze

Doctor of History,

Batumi Shota Rustaveli state

University professor.

Davit Kukhalashvili

Doctor of History,

Doctor of Occupational Safety

Caucasus International University Assoc. Professor

Experts:

Ketevan Shoshiashvili

Doctor of History,

CIU associate professor

Keti Djijeishvili

Doctor of politics, professor

The defense of the dissertation will take place on July 19, 2024, at 15:00 pm, in the Dissertation Council of the Caucasus International University Faculty of Social Sciences.

Address: 0141, Tbilisi, Chargli Street N 73, Caucasus International University, Building I, Room 305.

The dissertation is available in the library of the Caucasus International University.

Secretary of the Dissertation Board Ketevan Shoshiashvili, Doctor of History, Associate Professor of the Caucasus International University

ANNOTATION

The doctoral thesis studies the peculiarities of the political system of modern Turkey, analyzing the ongoing political processes in this country, and understanding of foreign sources of foreign policy.

The work focuses on the difficult process of transforming the Turkish political system, which began as soon as it was declared a republic of Turkey. It is characterized by erosion of secularism and various community organizations, social groups, parties, etc. Among the confrontations, the work also discusses the main Kemalist principles of the Turkish Republic, the main causes of the Atatürk road and its change, for which the powerful power of modern Turkey uses a powerful weapon of religion-moderate Islam. Since the establishment of the Republic, the country's political life has been a continuous process to make amendments to the constitution and to eliminate the influence of the military on civil authorities, resulting in the intensification of pro-Islamic or secular political parties and sometimes the formation of a multi-party, more often one-party governance system. The Turkish state order has undergone a significant change since the 2002 government came to power and its moderate Islamic Justice and Development Party. Today, Turkey's domestic political processes are characterized by

moderate ("soft") Islam. The ruling Justice and Development Party seeks to create "New Turkey" and transform the local community into a more conservative society.

Turkey is conveniently enjoyed by its geopolitical location and is one of the largest players in the region and world politics. Consequently, the ongoing processes in the world and in the region also affect the stability and development of the country.

Regimentary and charismatic leader and charismatic leader of Turkey, Recep Tayyip Erdogan, a distinguished and charismatic leader of Turkey, Recep Tayyip Erdogan, is trying to strengthen the role of this country in the face of the new world order, under the formation of the new world order, under the formation of the new world order, seeks to strengthen the role of this country in the Turkish-speaking countries of the South Caucasus, the Balkans, Balkans, and Turkish-speaking countries in the South Caucasus, the Balkans, and Central Asia of Asia, in Syria and Libya and Libya and Libyan and Libyan military, as well as in the Ukrainian-Russian military confrontation, trading in the European Union, trading in the European Union, trading in the Turkish military. And sometimes Europe also dictates its terms, as it did when discussing the issue of NATO membership in Sweden and Finland. In the light of the above, this country in the Middle Eastern region can be considered one of the hot spots of the world with social or political tensions, where the religious factor plays a turning point in the current processes, which drives the specificity of the country's political life and defines the place of Turkey in the international arena.

The introductory part of the doctoral thesis consists of the topicality of the study topic, the hypothesis, research questions, objectives and research goals. The methods and methodology of research present the scientific novelty and practical importance of the work.

One of the methods of the study is a semi-structural, deep interview that we interviewed experts and specialists in the field. In the assessment of the interviewers, different views on the topic of research were revealed. All of this has helped us to see and understand the issue in different ways.

Information about the approval of the paper

Three colloquiums and one thematic seminar were held in the Examination Commission of the Faculty of Social Sciences of the Caucasus International University.

Three colloquiums (each is part of a dissertation)

Colloquium #1 - Theoretical and historical foundations of the modern Turkish political system.

Colloquium #2 - Europeanization of Secularist Turkey and Secular Political Relations of the Republic of Turkey.

Colloquium #3 - Political priorities of the Turkish state and contemporary challenges of the political system.

Thematic seminar (dedicated to a topical issue of the field/subfield and not a part of the dissertation topic)

Hamas' involvement in Palestinian political life and its military activities

The main content of the thesis has been published in the following publications:

Articles:

1. Kopaliani N, Strengthening of secularism by Turkish constitutions, political scientist. 2024
2. Kapanadze M, Kopaliani N, Turkey's national security issue and Finland-Sweden's accession to the North Atlantic Alliance, Herald of Oriental Studies, Volume V, Number II, Batumi. 2022

International scientific conferences:

1. Kopaliani N, Turkey's Regional Ambitions (Istanbul Channel), Proceedings of the Sixth International Scientific Conference on Georgia-Iran Political, Cultural and Economic Relations, Tbilisi, 2022

2. Kapanadze M, Kopaliani N, The Influence of Religion on Turkey's Foreign Policy, Third International Scientific Conference (Challenges and Trends in Humanities), Scientific Journal of the National Manuscript Center, N4, Tbilisi, 2023

3. Kapanadze M. N., Kopaliani N. V. EUROPEANIZATION OF THE REPUBLIC OF TURKEY AND ISLAM, MODERN PROBLEMS OF SCIENCE, EDUCATION AND SOCIETY, Proceedings of XI International Scientific and Practical Conference Kyiv, Ukraine, 8-10 January, 2024

4. Kapanadze M. N., Kopaliani N. V. TURKEY AND REGIONAL ORGANIZATIONS, MODERN RESEARCH IN SCIENCE AND EDUCATION, Proceedings of XI International Scientific and Practical Conference, Chicago, USA, June 27-29, 2024